პროლეტარებო, უველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 8 იანვარი, 1944 წ. № 6 (6900). ფასი 20 კაპ.

ახალ წელს ახალი საწარმოო აღმავლობა

„ომში ჩვენ მივაღწიეთ ძირფესვიან ჯარდატეხას ჩვენი ქვეყნის სახარგებლოდ და ახლა ომი საბოლოო დასასრულს უახლოვდება. მაგრამ საბჭოთა ადამიანებს არ შეჰფერით მიღწეულით დაკმაყოფილება, თავიანთი წარმატებებით დატკბობა. გამარჯვება შეიძლება ხელიდან გავუშვათ, თუ ჩვენს რიგებში თვითდამშვიდებამ იჩინა თავი. გამარჯვებას უბრძოლველად და დაუძაბავად ვერ მოიპოვებ. მისი მოპოვება ბრძოლით ხდება“, — სთქვა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის შესახებ.

ბრძენი ბელადის მოწოდებას, რომ „ახლა გამარჯვება ახლოა, მაგრამ მის მოსაპოვებლად საჭიროა ძალთა ახალი დაძაბვა, მთელი ზურგის თავდადებული მუშაობა, წითელი არმიის მარჯვე და გაბედული მოქმედება ფრონტზე“— საბჭოთა ხალხი ახალი სახელოვანი გამარჯვებებით უპასუხებს.

სოციალისტურმა სახალხო მეურნეობამ — მრეწველობამ, ტრანსპორტმა, სოფლის მეურნეობამ შესანიშნავი წარმატებებით დაამთავრა გასული 1943 წელი. ახალი წელი ახალი საწარმოო აღმავლობით დაიწყო, რასაც ბრწყინვალედ განასახიერებს ჩელიაბინსკის თბოელექტროცენტრალის მშენებლებისა და მემონტაჟეების დიდი გამარჯვება — 100 ათასი კილოვატის ძალის მქონე ტურბოგენერატორის მონტაჟის დამთავრება და მეექვსე ქვაბის ამუშავება. სტალინსკი ტრესტ „სტალინსკპრომსტროის“ მშენებლებმა და კუზნეცკის ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგებმა აამუშავეს მეხუთე ღუმელი და დაამთავრეს ქარხნის მშენებლობა. მათ წარმატებები მიულოცა დიდმა სტალინმა. ბელადის მისალმება მთელ საბჭოთა ხალხს ალაფრთოვანებს ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის წარმატებები 1943 წელს, ახალ წელს უნდა განმტკიცდეს და გამრავლდეს. საამისოდ ყველა პირობა უზრუნველყოფილია. ჩვენმა საწარმოებმა გასულ წელს თვალსაჩინოდ გაადიდეს პროდუქციის გამოშვება ფრონტისათვის, გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა გასანადგურებლად, აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, ბევრგან დაინერგა მუშაობის ნაკადური მეთოდი, გამოვლინდნენ სტახანოველთა ახალი კადრები სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, შახტებსა და მაღაროებში, კიდევ უფრო განმტკიცდა შრომის დისციპლინა, ამაღლდა პროდუქციის ხარისხი, მიღწეულია გარკვეული ეკონომია ელექტროენერგიის, სათბობი მასალის, ნედლეულის ხარჯვაში, უფრო მეტად მოხდა ადგილობრივი რესურსების გამოყენება, პრაქტიკულად გატარდა მთელი რიგი რაციონალიზატორული ღონისძიება და გამოგონებანი.

უხვი მოსავალი მიიღეს საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა. წარმატებით იმუშავეს მტს-ებმა.

გაიზარდა ქვანახშირის, მარგანეცისა და გუმბრინის ამოღება.

მაგრამ ახალ წელს მთელმა სახალხო მეურნეობამ ახალი მზარდი აღმავლობა უნდა მოგვცეს ყველა დარგში. ამას მოითხოვს ვერაგ მტერზე ჩვენი სრული და საბოლოო გამარჯვების ამოცანები. ამიტომ მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის— მთელი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკის, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის წინაშე დგას ამოცანა 1944 წელს მიაღწიოს გაცილებით უკეთეს მაჩვენებელს, ვიდრე გასულ წელს იყო, უზრუნველჰყოს ახალი წლის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

1944 წლის იანვრის პირველივე დღეები მოწმობენ, რომ საქართველოს მშრომელები ახალი, დიდი საწარმოო აღმავლობით შეუდგნენ ახალი წლის დავალებათა შესრულებას. მაგალითად, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ამწყობი საამქრო, რომელიც 1943 წელს სხვა საამქროებთან შედარებით ჩამორჩებოდა, იანვრის პირველ დღეებში გაცილებით უკეთესად მუშაობს თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მთელმა რიგმა მოწინავე ბრიგადებმა, როგორიც არიან, მაგალითად, ბ. გასიშვილის მეხარატეთა, ი. მირზოევის მეყალიბეთა და სხვა ბრიგადები, უკვე წარმატებით შეასრულეს იანვრის თვის პირველი დავალებები. იანვრის პირველ რიცხვებში ყოველდღიური საწარმოო გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდეს თბილისის მაუდის ფაბრიკამაც. ახალი საწარმოო აღმავლობაა თბილისის კალინინის სახელობის ქარხანაში, ქიმკომბინატში, სტალინის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში, მეორე სამკერვალო ფაბრიკაში და მთელ რიგ სხვა საწარმოებში. ახალი გამარჯვებებით დაიწყო 1944 წელი ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზამ.

საკოლმეურნეო სოფელში გაჩაღებულია მზადება საგაზაფხულო თესვისათვის, აგრეთვე საკავშირო სოცშეჯიბრება ტრაქტორისტა და მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისათვის. კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების 1943 წლის გეგმები და ახლა ყველა პირობას ქმნიან 1944 წელს უხვი მოსავლის მისაღებად. კოლმეურნეობებში ამჟამად დაწყებულია წლიური ანგარიშების შედგენა 1943 წლისათვის და ემზადებიან მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილებისათვის. მთელი ეს სამუშაო ბოლშევიკურად უნდა ჩავატაროთ.

1944 წელი ვერაგ მტერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების წელი იქნება. ყველაფერი გავაკეთოთ გმირი წითელი არმიის, ფრონტის დასახმარებლად. გზრუნველვყოთ ახალი წლის გეგმების მთლიანად, ვადაზე ადრე, მაღალხარისხოვნად და გადაჭარბებით შესრულება, ნაკლები მუშა-ხელით მეტი პროდუქციის გამოშვება.

მივაღწიოთ ახალ წელს ახალ საწარმოო აღმავლობას! წითელი არმიის გმირულ შეტევას ფრონტზე ვუპასუხოთ ზურგში ახალი შრომითი წარმატებებით!

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეთა, კოლმეურნე ქალთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით — საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. მ. ბაქრაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი მ. ი. ბარამია, გორის რაიონის კოლმეურნეობა „მაგალითის“ თავმჯდომარე ა. ა. ბერაშვილი, გაზეთ „ზარია ვოსტოკის“ პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. გ. გრიგორიანი, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ა. გოჩაშვილი, ზუგდიდის რაიონის ს. ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, ჩაის ფოთლის წარჩინებული მკრეფავი ვ. ე. ყუფუნია, აფხაზეთის სსს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ა. ი. მირცხულავა, მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ფ. ორაგველიძე, სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ის ტრაქტორისტი ქალი ს. გ. უსენაშვილი, საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ს. გ. ხოშტარია, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ნ. ჩარკვიანი, გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ო. ი. ჩიგიტაშვილი და სხვები, სულ 34 კაცი;

შრომის წითელი დროშის ორდენით — 67 კაცი;

„სპპატიო ნიშნის“ ორდენით — 128 კაცი;

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 141 კაცი;

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 155 კაცი. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

რუზველტის ანგარიში საჭურვლის სესხად ან იჯარით გაცემის კანონის შესრულების შესახებ

ვაშინგტონი, 7 იანვარი (საკდესი). ჰგზავნის რა კონგრესში მეცამეტე ანგარიშს საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის შესრულების შესახებ ამ პერიოდის განმავლობაში, რომელიც 1943 წ. 30 ნოემბერს დამთავრდა, რუზველტი თავის მიმართვაში აცხადებს, რომ 1944 წელს გადამწყვეტი სამთარი ოპერაციები მოხდება. პრეზიდენტი აცხადებს, რომ კაიროს და თეհრანის კონფერენციებზე დამყარებულ იქნა უფრო მჭიდრო ერთიანობა, რომელიც მოკავშირეებს საშუალებას აძლევს გააძლიერონ თავიანთი შეტევითი ოპერაციები მოწინააღმდეგის უსიტყვო კაპიტულაციამდე.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ თვეებში მნიშვნელოვნად გადიდდა საქონლის მიწოდება საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე. 1941 წ. მარტიდან 1943 წ. 30 ნოემბრამდე განვლილ პერიოდში ამ საფუძველზე გადაცემული საქონლის და გაწეული მომსახურების ღირებულებამ 18 მილიარდ დოლარს გადაამეტა, აქედან 10 მილიარდზე მეტი მოდის 1943 წლის პირველ 11 თვეზე და 7 მილიარდი— 1942 წელზე. საქონლის უშუალო ექსპორტმა გადაამეტა 13 მილიარდ დოლარს, აქედან 9 მილიარდზე მეტი მოდის გასული წლის პირველ 11 თვეზე და 5 მილიარდზე ნაკლები — 1942 წელზე.

საჭურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე საბჭოთა კავშირი საქონლის საერთო ექსპორტის ღირებულება აღემატება 3,5 მილიარდ დოლარს.

იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილების საბრძოლო მოქმედება

ჟენევა, 7 იანვარი (საკდესი). იუგოსლავიიდან მიღებული ცნობებით, ქალაქ ბანია-ლუკაში კვლავ გრძელდება ქუჩის ბრძოლები. ჰიტლერელები სასოწარკვეთით ეწევიან წინააღმდეგობას, მაგრამ მათ ზედიზედ ერეკებიან სახლებიდან. აღმოსავლეთ ბოსნიაში გრძელდება შეუპოვარი ბრძოლები. ზოგიერთ ადგილს სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები შეტევითს ოპერაციებს ეწევიან. დინარის ალპებში დაკავებულია მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ერთ-ერთმა დივიზიამ სავსებით გასწმინდა ოკუპანტებისა, უსტაშებისა და ჩეტნიკებისაგან მდინარე ცეტინეს ხეობა. სლავონიაში პარტიზანულმა რაზმებმა რამდენიმე ადგილას დაანგრიეს ბელგრად-ზაგრების რკინიგზის ლიანდაგი. მოძრაობა შეწყვეტილი იყო დღე-ღამის განმავლობაში. იმავე ლიანდაგზე სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ერთ-ერთმა ნაწილმა მოსპო გერმანელთა ჯავშანიანი მატარებელი, დამსხვრეულია ორთქმავალი და შვიდი ვაგონი.

სამარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 7 იანვარი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ ამერიკის მე-5 არმიის ფრონტის ცენტრალურ სექტორში მოკავშირეთა ჯარები შეტევას განაგრძობდნენ თოვლით დაფარულ მთებში. სასტიკი ბრძოლები სწარმოებს დაბა ლეგა, ნისლიანი ღილაა. დაწყებული ყინვები სითბომ შესცვალა. ქვემო წელში განიერი და მკაცრი დნეპრი ნისლის ზეწარს დაუფარავს.

ზამთრის ამ ჩვეულებრივ სამზრეთის ღელას დნეპრის ნაპირას გუშაგად იდგა რიგითი ჯარისკაცი სერგეი ბელიკოვი. იგი ფაზზეადგ ჩასაქერილოდ განთიადის წინანისლს, გულმოდგინედ უგდებდა ყურს შრიალს. ბელიკოვს ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის პოსტს. დნეპრს გაღმა გერმანელები იყვნენ.

დაბერა დილის გრილმა ნიავმა. ნისლი სწრაფად იფანტებოდა, და მდინარეზე გემის სილუეტი გამოჩნდა. ერთი წუთიც და ბელიკოვი უკვე გარკვევით ხედავდა, რომ დნეპრზე გერმანელთა გემი მოდიოდა. გემს ბუქსირით მოაყავდა ორი მძიმედ დატვირთული ბარჟა. ნისლის საფარქვეშ გერმანელებს იმედი ჰქონდათ შეუმჩნევლად გაეყვანათ ბარავანი დნეპრის შესართავიდან ზღვაში.

ბელიკოვმა განგაში ასტეხა. არტილერისტებს მაშინვე აცნობეს კოორდინატები და მტრის ბარავნისაკენ ათობით ყუმბარა წავიდა. გემმა მანევრობა იწყო, მაგრამ, საითაც უნდა მიბრუნებულიყო, მას ყველგან გზას უღობავდა საბჭოთა არტილერიის ყუმბარები.

მალე გემი ხშირ კვამლში გაეხვია და იძირებოდა. მას ბარჟაც მიაყვებოდა. ბარჟაში მყოფი ჰიტლერელები წყალში დადახტნენ იმ იმედით, რომ ცურვით მიაღწევდნენ ნაპირს. მათ დასახმარებლად გამოვიდა ოთხ სწრაფმავალი კატერი. ისინიც ჩვენი არტილერიის ცეცხლში მოჰყვნენ. ერთი კატერი ისე ჩაიძირა ყუმბარის სწრაფი მოხვედრით, რომ ვერ მიაღწია მიზანს, მეორე სასწრაფოდ მიიმალა.

* * *

ჯერ გარიჟრაჟი სად იყო, რომ „სანადირიდ“ გამოვიდნენ მეთაურ გაიგორონსკის სნაიპერები. განსაკუთრებული მღელვარებით დაიკავეს თავიანთი ადგილი ცეცხლთან ოზიციებზე ახალგაზრდა მსროლელებმა—აშიმოვმა და მაგუზიროვმა. დღეს ისინი პირველად ინადირებენ დამოუკიდებლად ჰიტლერელებზე. მათ გვერდით ჩაწვა მათი მასწავლებელი — სნაიპერი სკრიპნიჩენკო.

ნელა მიდიოდა დრო. დაძაბულობისაგან თვალები ეცრემლებოდათ. ბოლოს სანგრიდან გამოჩნდა გერმანელი. ჯერ მარტო მისი თავი ჩანდა. მაგუზიროვი ელოდა. ჰიტლერელი გადამდგა და წამოდგა. მაგუზიროვმა ესროლა და მიაწვინა ფაშისტი. ახალგაზრდა სნაიპერის საბრძოლო ანგარიში დაიწყო. წარმატებით იმუშავეს დანარჩენმა მარჯვე მსროლელებმაც. ერთ დღეს მათ 8 ჰიტლერელი მოჰკლეს.

* * *

10 საათი რომ შესრულდა, სოფლის ვრცელი სახლი უკვე სავსე იყო რიგითი ჯარისკაცებით, სერჟანტებითა და ოფიცრებით. ბევრი მათგანი ის იყო დაბრუნდა ღამე ძალნიდან. დაიწყო გვარდიელთა — 6 შენაერთის მზვერავთა კრება. დღეს ისინი აჯამებენ თავიანთის ერთი წლის მუშაობას, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას.

ზედიზედ გამოდიან ნაჯარჩინებული მზვერავები — გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ზალევიჩი, სერჟანტი შურიგინი, ეფრეიტორი მასლოვი, რიგითი შიხოევი და სხვები. ისინი ამბობენ, თუ ჩვენი დაუღალავი მზვერავები ადგილს სხვადასხვა პირობებში, ყოველგვარ ამინდში, დღისით და ღამით, შეტევისა თუ თავდაცვის დროს, როგორ შეადწევენ ხოლმე მოწინააღმდეგის განლაგებაში და თან მოჰყავთ ტყვეები. „მოენის“ ხელში ჩაგდებას ხერხი მეტად სხვადასხვაირია. ერთ შემთხვევაში ეს არის ღრმა რეიდი მტრის ზურგში, სხვა შემთხვევაში — ჩასაფრება გერმანელთა წინა კიდეზე, ზოგჯერ სწრაფი ნახტომი მტრის სანგრებში ჩვენი არტილერიის ცეცხლის დახმარებით. მაგრამ ძენნის შედეგები, როგორც წესი, ყოველთვის წარმატებითია

გვარდიის 6 შენაერთის მზვერავებმა ერთი წლის განმავლობაში 5 ათასზე მეტი საკონტროლო ტყვე მოუყვანეს სარდლობას.

* * *

გერმანელთა წინა კიდემდე სულ რამდენიმე ასეული მეტრია, ხოლო მიწის ღია ქვაბულში ლეიტენანტი კაზანცევი კინოფილმს უჩვენებს. საინტერესოა, რომ მოწინააღმდეგე არა მარტო შუქს ვერ ხედავს, არამედ ძრაველსაც არ ესმის. ეს ლეიტენანტმა კაზანცევმა გამოიგონა. ეკრანსა და კინოპარატს ზევით სწვიმამარ-კარვებით მან გააკეთა შუქმეტყველი სახურავები. ელექტროძრავის ხმაურს ნიღბავს სპეციალური მაყუჩი, რომლის ბოლოც წყლიან ვედროშია ჩაშვებული. ამ უბრალო მოწყობილობით მებრძოლებს შესაძლებლობა აქვთ ნახონ კინოსურათი პირდაპირ მეწინავე ხაზზე.

* * *

სწრაფად ილება ზამთრის მოკლე დღე. მებრძოლები დასასვენებლად ეწყობიან. მაგრამ დნეპრის ნაპირას წინანდებტრადვე დგას გუშაგი, რომელიც გულმოდგინედ უგდებს ყურს ლერწმის მწყობრ შრიალს და დნეპრის ტალღების შხაპუნს.

ბ. ვიაზემსკი

მოქმედი არმია, 7 იანვარი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

7 იანვრის ოპერაციული ცნობა

7 იანვრის განმავლობაში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დიაკავეს როვნოს ოლქის რაიონული ცენტრი კლიოსოვი, ჟიტომირის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი იანუშპოლი, ვინიცის ოლქის რაიონული ცენტრები კოსოვოლსკოე, ლიპოვეცი, ორატოვი, კიევის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი რუშიშევი, რაკიტნო, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 70-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, რომელთა შორის არის დიდი დასახლებული პუნქტები პრავიტოვი, მანი, კრასნოსულკა, ოლშანკა, ბაბუშკი, ბეიზიმოვკა, გალიევკა, მალაია ვოლიცა, ოზადოვკა, რადიანსკე, ტურესოვა, ბროდეცკოე, ნაკადოვკა, სკიტკა, ტიაბუნი, ბაბინი, დუბროვიცი, ორატოვკა, იუშკოვცი, მალაია ბერეზნიანკა, ლუკიანოვკა, კისლოვკა, სტეპოკი, ბოლკუნი, რუსსი, ოლშანიცა, შეფდოვკა, სტავი, გოროხოვატკა, ჩერნიახოვი, სტრიტოვკა, ხალჩა, ულიანიკი და რკინიგზის სადგურები ჩუდნოვ-ვოლინსკი, დეშჩინი, ორატოვი, რაკიტნო, ოლშანიცა. უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები შეუერთდნენ ჩვენს ჯარებს, რომლებსაც ეკავათ ბუკრინის პლაცდარმი (დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, ქალ. პეტროვსკაია-ხმელნიცკის სამხრეთ-დასავლეთით). დაკავებულია აგრეთვე კიევის ოლქის რაიონული ცენტრი რაკიტნო და 70-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. ერთი დღის ბრძოლებში მოსპობილია 5.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და წამოყვანილია ბევრი ტყვე. მოსპობილია გერმანელთა 110 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 14 თვითმავალი და 84 საველე ქვემეხი, 21 ჯავშანტრანსპორტიორი, 200-მდე ტყვიამფრქვევი და 300-ზე მეტი ავტომანქანა. ორასზეული ცხონებით, ჩვენმა ნაწილებმა გერმანელებს წაართვეს რამდენიმე ვარგისი ტანკი, 6 თვითმავალი ქვემეხი, 92 საველე ქვემეხი, 5 საწყობი საომარ მასალიანად და 34 საწყობი საჭურვლიანად, სურსათიანად და საბრძოლო ქონებიანად.

* * *

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარები 5 იანვარს შეტევაზე გადავიდნენ კიროვოგრადის მიმართულებით. შეტევის მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა ფაშისტ ფრონტზე გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა და დაიკავეს 120-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის—კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრები ოჭახკა და ნოვგოროდკა. ნ. შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც კიროვოგრადის ჩრდილოეთით მოქმედებენ, წინ წიოწიეს, გადალახეს მდინარე ინგული, სწრაფი იერიშით დაიკავეს დასახლებული პუნქტი გრუზნოე და გადასჭრეს კიროვოგრადი-ნოვოუკრაინკის რკინიგზა. ჩვენმა მოძრავმა ნაწილებმა განვითარეს წარმატება და დაიკავეს სადგური ლელეკოვკა და ამ სადგურის სამხრეთით შეუერთდნენ ჩვენს ჯარებს, რომლებიც კიროვოგრადის სამხრეთ-დასავლეთით უტევდნენ. ამით ჩვენი ჯარები მთლიანად შემოერტყნენ გარს ქალაქ კიროვოგრადს და გერმანელთა იმ ნაწილებს, რომლებიც ამ ქალაქს იცავენ. მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მოსდის. მარტო დღეს, დღის განმავლობაში საბჭოთა ტანკისტებმა და არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 28 ტანკი, 13 ჯავშანტრანსპორტიორი და 40-ზე მეტი ქვემეხი. საბჭოთა ჯარების დარტყმების შედეგად უკანდახევისას მოწინააღმდეგის განადგურებული შენაერთები ჰყრიან სამხედრო ტექნიკასა და სამხედრო ქონებას. წამოყვანილია მრავალი ტყვე.

* * *

ყირიმელი პარტიზანების რაზმმა 26 დეკემბერს ღამით ნაღმებზე აფეთქა მოწინააღმდეგის ჯავშნიანი მატარებელი. ჯავშნიანი მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. ყირიმელი პარტიზანების სხვა რაზმმა შეაღწია ერთ სოფელში და თავს დაესხა ჰიტლერელებს, რომლებიც მშვიდობიან მცხოვრებლებს ძარცვავდნენ. საბჭოთა პატრიოტებმა გაანადგურეს 100-ზე მეტი გერმანელი და რუმინელი ჯარისკაცი.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ერთ უბანზე ტყვედ დაგვებდა გერმანიის 291-ე ქვეითი დივიზიის 504-ე პოლკის ორი ოფიცერი და 135 ჯარისკაცი. ობერ-ლეიტენანტმა ჰაინც ცინკემ განაცხადა: „ორ იანვარს ჩვენი პოლკი განადგურებულ იქნა. პოლკის მეთაური სადღაც გაქრა, და მე ვიკისრე დარჩენილ ჯარისკაცთა მეთაურობა. როცა დავრწმუნდი, რომ შემდგომი წინააღმდეგობის გაწევა უაზრო იყო, მე ვუბრძანე ჯარისკაცებს იარაღი დაეყარათ და ტყვედ დანებებულიყვნენ. ჯარისკაცებმა დიდი ხალისით შეასრულეს ეს ბრძანება. ჩვენ მოვიტანეთ და რუსებს ჩავაბარეთ 16 ტყვიამფრქვევი, 105 შაშხანა და დიდძალი საომარი მასალა“.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ ზიანის შესახებ, რაც ჩაიდინეს გერმანელებმა პოლესიეს ოლქის სოფელ გუტაში. „წითელი არმიის დარტყმების შედეგად უკანდახევისას გერმანელი დამპყრობნი მზეცურად გაუსწორდნენ სოფლის მოსახლეობას. ჰიტლერელები მშვიდობიან მცხოვრებთ სახლებში ამწყვდევდნენ და ნაგებობებს ცეცხლს უკიდებდნენ. ცეცხლში დაიწვნენ ანა ბონდარი, ალექსანდრა ჟოლუდი, ოლგა დასკო და ბევრი სხვა მოხრდილი და ბავშვი.

ჩვენ ვთხოვთ წითელი არმიის მებრძოლებს შური იძიონ გერმანელ მტარვალებზე ყველა იმ ბოროტმოქმედებისათვის, რაც მათ საბჭოთა მიწა-წყალზე ჩაიდინეს“.

აქტს ხელს აწერენ: ტიტე დასკო, კლავდია დასკო, ლიდა გალუშკევიჩი, სოფიო დასკო და სოფელ გუტის სხვა მცხოვრებნი.

ე. ბ. კობერიძეს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება

სსრ კავშირის სახალხო კომისარია საბჭოს 1943 წლის 20 დეკემბრის დადგენილებით წითელი არმიის ოფიცერთა შემადგენლობას და ჟანერლებს მიენიჭათ სამხედრო წოდებანი, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის 4 თებერვლის დადგენილებით. მათ შორის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა ერმილე გრიგოლის-ძე კობერიძეს.

ფრონტის დღე

ა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ჰეშმარიტად ... ით ზრდიდნენ ნათეს ფართობს, ადიდებდნენ მოსავალს ... ომის განმავლობაში 80.000 ჰექტარ-ნახევრით გაიზარდა. ... ნტნერ-ნახევრით გაიზარდა.

... ეიკამ მეცხოველეობის დარგშიც. ომის განმავლობაში 20.000 სულით, ცხვრისა და თხისა—500.000 სულით.

„პრავდა“



საქართველოს კოლმეურნეთა შრომითი მამაცობა

„იზვესტიის“ მოწინავე — 8 იანვარი

„საბჭოთა სახელმწიფოს მოკავშირე რესპუბლიკების თანაბარსაკლავედში კავკაზს მზიანი საქართველო. მრავალი საუკუნის ძმური მეგობრობა აკავშირებს ქართველ ხალხ დიდ რუსულ ხალხთან.

ეს მეგობრობა, რომელმაც ისტორიის ყველა განსაცდელს გაუძლო და რომელიც განმტკიცებულია საერთო მტრებთან ბრძოლაში დაღვრილი სისხლით, დიადი საფუძველი გახდა რუსი და ქართველი ხალხების ძმური კავშირიანობისა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა ერთ მძლავრ ოჯახად ერთიანდა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი და საბჭოთა დროშით შეუდგა სოციალისტური საზოგადოების აშენებას.

ამჟამად, დიდი სამამულო ომის დღეებში, ერთგული ხალხი საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხთან მხარდამხარ გამოვიდა ჩვენი ქვეყნის დასაცავად და თავისი მეომრების ფარით, თავისი ადამიანების შრომით გმირულად იბრძვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

საქართველოს ათასობით შვილმა ისახელა თავი საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და სამოუკიდებლობისათვის წარმოებულ სასტიკ ბრძოლებში. საბჭოთა კავშირის გმირების—გეგეშიძის, ბერმისაშვილის, კანკავას, ადამიას, ტოგუნელის, ხმალაძისა და სხვათა სახელს სამარცხვინო წარმოსთქვამს ყველა საბჭოთა ადამიანი.

და ამავე თავდადებით, შეუპოვრობითა და ენერგიით, რომლითაც ქართველი ხალხის შვილები—მამაცი ჯარისკაცები და ოფიცრები ბრძვიან ფრონტზე გერმანელთა წინააღმდეგ, უშიშარ სამშობლოსათვის, წითელი არმიისათვის ქართველი მშრომელნი, ზურგში რომ არჩენენ.

დღეს, მთელი ჩვენი ქვეყანა დიდი კმაყოფილებით შეიტყობს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ... ...

გავაჩაღოთ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისათვის

სარატოვის მექანიკური ქარხნის კოლექტივის მივართვა სარემონტო ქარხნებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოების ყველა მუშისა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისა და მოსამსახურისადმი

დიდი სიხარულით ვისმენდით ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის სიტყვას ფრონტზე და ზურგში საბჭოთა კავშირის სახელოვან გამარჯვებათა შედეგების შესახებ. ყოველი ჩვენგანის გული აღივსო სიამაყითა და სიხარულით, როდესაც ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა დაახასიათა, როგორც ხალხის უმაგალითო გმირობა სამშობლოს დაცვის საქმეში.

სარატოვის მექანიკური ქარხნის კოლექტივს აგრეთვე შეაქვს თავისი წვლილი დიად საქმეში, რომელსაც აკეთებენ საბჭოთა ზურგის ჯუშაკები, რათა დაეხმარონ ფრონტს დაჩქაროს საძლეველი მტრის განადგურება. ჩვენს ქარხანას კარგი მუშაობისა და გეგმის გადამეტებით შესრულებისათვის მიენიჭა სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა.

მაგრამ ჩვენ როდი ვივიწყებთ ამხანაგ სტალინის მითითებებს იმის შესახებ, რომ არ შეძლება დაკმაყოფილდეთ მიღწეულით. იმისათვის, რომ უზრუნველყოთ გერმანელ დამპყრობთა საბოლოო განადგურება ჩვენ კიდევ უფრო მეტი და უკეთესად უნდა კიმუშაოთ.

უხვი მოსავლისათვის საბჭოთა მეურნეობების ბრძოლაში გადამწყვეტი ადგილი უკავია მანქანა-ტრაქტორთა პარკის მზადყოფნას მიდგრის სამუშაოებისათვის. მაშასადამე, ჩვენზე, ქარხნებია და სარემონტო სახელოსნოები პუშაკებზე, ბევრი რამ არის დამოკიდებული მოსავლისათვის ბრძოლაში. ჩვენ ყოველნაირად უნდა დავეხმაროთ საბჭოთა მეურნეობებს, რომ 1944 წელს მიიღონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი.

ჩვენ მივმართავთ სარემონტო ქარხნებიან და საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოების ყველა მუშა კაცსა და ქალს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს წინადადებით—მოვაწყოთ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორების რემონტის წარმატებით ჩატარებისათვის, ყველა მანქანისა და მიბსპელი იარაღის საგაზაფხულო თესვისათვის კარგად მომზადებისათვის. ჩვენ, სარატოვის მექანიკური ქარხნის მუშაკები, ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვკისრულობთ შემდეგს ვალდებულებებს:

1. 1944 წლის პირველ კვარტალში გეგმის გადაჭარბებით დავამზადოთ ტრაქტორების სამარაგო ნაწილები 100 ათასი მანეთის თანხისა, მათ შორის განსაკუთრებით დეფიციტური დეტალები—სიჩქარეთა ყუთის საშუალო ლილვაკები, I და II სიჩქარის კბილანები, ბლოკის თავები, ჰილზები, დგუშები, რგოლები, აგრეთვე აკითვისოთ და გადაცემათა ქვედა ყუთის ლილვის, პირველი გადაცემის კბილანისა და ქვედა ლილვის კბილანის მორგვის ათვისება სტუ ტრაქტორისათვის.

2. 1944 წელს შრომის ნაყოფიერება 1943 წელთან შედარებით გავადიდოთ 10 პროცენტით, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფის და სამუშაო ადგილის მოწესრიგების გზით.

3. პირველ კვარტალში დავზოგოთ 100 ათასი მანეთი ბლოკის თავების ღეროების წარმოების მექანიზაციის დარგში რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის ხარჯზე და ტრაქტორთა ჰილზების ნაკადური წარმოების მოწყობის დარგში დეტალების ჩამოსასხმელად საყალიბო მიწის ახალი ნაზავის გამოყენების ხარჯზე.

4. პროდუქციის თვითღირებულება შევამციროთ სულ ცოტა 5 პროცენტით შრომის ნაყოფიერების გადიდების, მასალების დაზოგვის, მოწყობილობისა და ინსტრუმენტებისადმი ფრთხილად მოპყრობის და საერთო საქარხნო და საამქრო ხარჯების შემცირების გზით.

5. დავზოგოთ სულ მცირე 8 პროცენტი თხიერი საბობი და 5.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

6. ავამაღლოთ გამოსაშვები პროდუქციის ხარისხი ტექნოლოგიური დისციპლინის მკაცრი დაცვისა და ხარისხისადმი კონტროლის ყოველმხრივი გაუმჯობესების გზით.

7. 1944 წლის პირველ კვარტალში მოვამზადოთ 30 მუშა კაცი და ქალი ინდივიდუალური მოწაფეობის გზით. მოვაწყოთ სწავლება ქარხნის მუშების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

8. შეიობის წესით შეეკეთოთ და 1944 წლის იანვარში გავუგზავნოთ ზაპროჟიეს ოლქის ორგხოვის სარემონტო ქარხანას ერთი საბურღავი და ორი სახარატო ჩარხი, აგრეთვე გავუგზავნოთ კვალიფიციური ოსტატი ქარხნისათვის ადგილბრივ დახმარების გასაწევად.

ამხანაგი სტალინი მოგვიწოდებს დაძაბული და თავდადებული შრომისაკენ. მაშ შევასრულოთ, ამხანაგო მერემონტეებო, ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე!

გავაკეთოთ ყოველივე, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მანქანა ტრაქტორთა პარკის რემონტი შესრულებულ იქნას კარგად და საუცხოოდ, რომ ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები შეუფერხებლად მუშაობდნენ საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში. ყოველივე ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ საბჭოთა მეურნეობებმა 1944 წელს მიიღონ მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის, ბამბის უხვი მოსავალი, ხოლო მეცხოველეობისათვის კი საკვები კულტურების უხვი მოსავალი!

უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

ქარხნის დირექტორი ი. კარასი, მთავარი ინჟინერი პ. პიროგოვი, მექანიკური საამქროს უფროსი ე. პოსტნიკოვი, სამსხმელო საამქროს უფროსის მაგიერ ა. კუქსი, მხეზავი ნ. კონონენკო, ხარატები პ. ჩორნი, ა. მერზლიაკოვი, ზეინკალი ვ. არსენტიევი, ტერმისტი ვ. სტეპჩენკო, მეყალიბე გ. ხარჩენკო, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ივანოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ა. კობაევი.

თავიანთ წერილში ხარკოველები სწერენ, თუ სარევი.

ჯუნგოს უხვი მოსავალი

ხოლბი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა 113 პროცენტით შეასრულეს ტუნგოს ნაყოფის დამზადების 1943 წლის გეგმა. სოფ. ბიის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მარტო მეხუთე ბრიგადამ (ბრიგადირი დ. ოისავა) ჩაბარა სახელმწიფოს იმდენი ნაყოფი, რამდენსაც კოლმეურნეობის მთელი გეგმა ითვალისწინებდა, სულ 18 ტონა. **ახლა** კოლმეურნეობას გეგმის გადამეტებით **ჩასაბარებლად** დამზადებული **აქვს** 25-მდე ტონა **ტუნგოს ნაყოფი.**

ტუნგოს უხვი მოსავალი მიიღო **და დამზადა** დიდის გეგმა 207,3 პროცენტით შეასრულა აგრეთვე ხობის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. კოდუა). ასევე მაღალი მოსავალი მიიღეს და წარმატებით შეასრულეს გეგმები სოფ. შუა ქვაღლონის მარქსის სახელობის (თავმჯდომარე ვ. ქირია) და სოფ. პირველი მაისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ზრ. ნანეიშვილი

დონბასი აღორძინებას იწყებს

დიდი საწარმოო გამარჯვებით შეხვდნენ მაღაროელნი ახალ წელს, გერმანელმა ოკუპანტებმა დაასახიჩრეს ჩვენი დონბასი. მათ ნანგრევებად აქციეს შახტებად ნაგებობანი, ააფეთქეს შახტების ურნალები და ტანი, წყლით აავსეს შახტები. მაღაროელებმა გადაწყვეტეს აღორძინონ მშობლიური დონბასი, დაუბრუნონ მას ყოფილი სახელი.

ახალ წლის საჩუქრად ამუშავებულია ათობით შახტი. ისინი აღდგენილია მეოთხე კვარტალის განმავლობაში — დაწესებულ ვადაზე გაცილებით ადრე. ამას ჩვენ უმთავრესად უნდა ვუმადლოდეთ მაღაროელთა შრომის ენტუზიაზმს. სარეკორდო მოკლე ვადებში აგებულია ახალი ურნალები, დადგმულია ახალი ამწე მანქანები, გამაგრებულია ათიათასობით მეტრი სანგრევი, დამთავრებულია წყლის ამოტუმბვა. მაგალითად, ტრესტ „ზუევანტრაციტის“ № 20-ბის შახტი თვენახევრის განმავლობაში სავსებით აღდგენილია და უკვე იძლევა ქვანახშირის ომამდელი მოპოვების რაოდენობას.

აღადგენს რა დიდ შახტებს, ყოფილებიე სამშენებლო სამუშაოთა პროცესში იძლევა ეგრეთწოდებულ გზადაგზა მოპოვებულ ქვანახშირს, კომბინატი ყოველ დეკადაში ადიდებს მცირე შახტებში ქვანახშირის მოპოვებას. კვარტალის გეგმა ჯერ კიდევ 25 დეკემბერს შესრულდა. უკანასკნელ დღეებში ჩვენს ქვეყანას მივეცით ათობით ეშელონი ზეგეგმითი სათბობი. დღითი დღე იზრდება სტახანოველთა რიცხვი, რომლებიც რემონტის დარგში დავალებას 300-400 პროცენტით ასრულებენ და სანგრევებში 10-15 ნორმას იძლევიან ცვლაში. შახტებში მოვიდნენ ძველი კადრის მეშახტეები. მიუხედავად თავანთი ხანშიშესულობისა, ისინი მუშაობენ მაღლნაყოფიერად, ახამებენ სანგრევსა და შტრეკში მუშაობას და ამავე დროს ასწავლიან ახალგაზრდობას.

მთელი ჩვენი ქვეყანა დახმარებას უწევს დონბასის აღორძინების საქმეს. ურალის, ციმბირის, მოსკოვის და სხვა ქალაქების მშრომელნი საჩუქრად გვიგზავნიან ხე-ტყის, მოწყობილობის და სხვა მასალის ეშელონებს. ჩვენ ვაფასებთ ამ დახმარებას და ძალიან კარგად გვესმის ჩვენი მუშაობის მთელი მნიშვნელობა ფაშისტ ავანგარდისათვის, რომლებიც ოცდაორი თვის განმავლობაში ბილწავდნენ დონბასს. ჩვენი ოლქი, ჩვენი კომბინატი ბელადის დიდ სახელს ატარებენ. ამ პატივს ჩვენ გავამართლებთ შახტების უსწრაფესად აღდგენით, დონეცის ქვანახშირის ზეგეგმითი ეშელონებით.

მაღაროელებს ცუდად როდი უმუშავნიათ გასულ წელს. ახალ წელს ჩვენ კიდევ უფრო დაძაბულად ვიმუშავებთ, რათა მალე მთელი სიმძლავრით ამუშავდეს სრულიადსაკავშირო საცეცხლფარეშო.

ა. ზასიადკო,

ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე, კომბინატ „სტალინუგოლის“ უფროსი.

სტალინო, (საკდესი).

„დიდების“ ორდენის კავალერთა საბრძოლო საქმეები

1. მეთაურის სიცოცხლისათვის

მანქანა, რომლითაც ბევრჯერ უფრენია უმცროს ლეიტენანტ ვასილ შაკშინს, სწრაფად მოდიოდა ძირს; იგი აღარ ემორჩილებოდა პილოტის ნებისყოფას. მფრინავს სახელური სულ გაზზე ჰქონდა, იგი ამოდ ცდილობდა გამოეცოცხლებინა მოტორი. „ილიუშინ-2“ ბრუნდებოდა საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულების შემდეგ. ბანი ფრთების ქვეშ სჩანდა სახლები, ტყეები, მინდვრები. მიწა სწრაფად ახლოვდებოდა. მფრინავი გამუდმებით წინ იყურებოდა, მაგრამ ფეხების მძიმე ტკივილი გრძნობს უკარგავდა. თითქოს სიზმარშიო, გაიგონა შაკშინმა მსროლელ უფროს სერჟანტ ალექსანდრე ბურლაკოვის ხმა:

— მეთაურო, ჩვენ ვკარდებით. თქვენ დაჭმბინდან გამოიყვანა მეთაური, ზურგზე მოიგდო და მანქანას მოაშორა. იგი ნახევრად დანგრეულ სახლს იქით შეჩერდა და ჭრილობები შეუხვია მფრინავს.

ოთხ კილომეტრზე მეტი მანძილი იხოხა ცეცხლქვეშ მსროლელმა ბურლაკოვმა თავის შეთაურიანად და საველე ჰოსპიტალში მიიყვანა მფრინავი. ოფიცრის გადარჩენისათვის და ამასთან მამაცობის გამოჩენისათვის უფროსი სერჟანტი ალექსანდრე ბურლაკოვი დაჯილდოებულია „დიდების“ მე-3 ხარისხის ორდენით.

2. ჯარისკაცის გამჭრიახობა

სამაზნოს რაიონში უმცროს ლეიტენანტ კულიჩენკოს თავს დაესხნენ გერმანელთა ავიაგადამფარველები. მფრინავი მარჯვე მანევრებით ცდილობდა ავიაციისაგან გასვლას. ბრძოლის ველზე ბერეზინის ნაპირებთან ნაპოვნია გერმანელთა მე-2 მცველი პოლკის მე-2 ბატალიონის ეფრეიტორ ოტო ბერგერის უბის წიგნი. „ყაჩაღური ბანდის წევრი ამ წიგნში იწერდა, რაც შეემთხვა ბელორუსიის მიწა-წყალზე. აი რა ჩაეწერა:

„მივედით მოგილიოვში. დანგრეული ქალაქი აოხრებულია, თითქო მკვდარიაო. მოსახლეობა შიშველობს. ჩამოგლეჯილი მცხოვრებნი ნარეცხის ორმოებში, სამზარეულოებთან აგროვებენ დამპალ, დამზრალ კარტოფილს, ნაფცქვენს“.

„ბერლინ-ბერლინ“ ... „ბერლინ-ბერლინ“ ... „ბერლინ-ბერლინ“ ... „